დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“ დირექტორის

2025 წლის 17 დეკემბრის N 01/174 ბრძანებით

პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირება

ფოთი

2025

სსიპ კოლეჯის „ფაზისი"

პროფესიული სტუდენტის ინფორმირების დებულება

მუხლი 1. პროფესიული სტუდენტის ინფორმირებულობის უზრუნველყოფა

1. სსიპ კოლეჯი „ფაზისი" ვალდებულია ინფორმირებული ჰყავდეს პროფესიული სტუდენტები მათთან დაკავშირებულ რეგულაციებზე.

2. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტს შეუძლია გამოითხოვოს ნებისმიერი დოკუმენტი, რომლითაც რეგულირდება სასწავლო პროცესი.

3. პროფესიული სტუდენტების ინფორმირებულობას, სასწავლო პროცესის დასაწყისში, უზრუნველყოფს (რასაც სტუდენტები ადასტურებენ ხელმოწერით ინფორმირებულობის ჟურნალში - დანართი 1):

❖ **სსიპ კოლეჯი „ფაზისი" პროფესიული განათლების მასწავლებელი** - ვალდებულია გააცნოს პროფესიულ სტუდენტებს მოდული, სწავლის შედეგები და შესრულების კრიტერიუმები, სწავლების პროცესის ვადები, მეთოდები და შეფასების ინსტრუმენტები.

❖ **სსიპ კოლეჯი „ფაზისი" დირექტორის მოადგილე** - ვალდებულია გააცნოს პროფესიულ სტუდენტებს კოლეჯის შინაგანაწესით დადგენილი დისციპლინური გადაცდომისა და დისციპლინური სახდელების სახეები.

❖ **სსიპ კოლეჯი „ფაზისი" იურისტი** - ვალდებულია გააცნოს პროფესიულ სტუდენტებს სტატუსის შეწყვეტის, შეჩერების, აღდგენის, შიდა და გარე მობილობის პროცედურები, სწავლის შედეგების გასაჩივრების პროცედურები და ვადები.

❖ **სსიპ კოლეჯი „ფაზისი" პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი** - ვალდებულია გააცნოს პროფესიულ სტუდენტებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის პირობები, დასაქმებისა და კარიერული წინსვლის შესაძლებლობები.

❖ **სსიპ კოლეჯი „ფაზისი" ბიბლიოთეკარი** - ვალდებულია გააცნოს პროფესიულ სტუდენტებს ბიბლიოთეკით სარგებლობის პირობები, წიგნის გატანის პროცედურები და ვადები, ასევე ასლის გადაღების შესაძლებლობები და სხვ.

სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი'' სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი'' სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმები (შემდგომში - მექანიზმები) შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების, მოქმედი კანონმდებლობის, განათლების სფეროს ექსპერტთა რეკომენდაციებისა და დაწესებულების წესდების საფუძველზე.
1.2. წინამდებარე მექანიზმების მიზანია პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის ერთიანი მექანიზმის შემუშავება, რომელიც მოიცავს როგორც საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული მხარდაჭერის ღონისძიებებს, ასევე პროფესიული სტუდენტის სასწავლო გარემოსათან ადაპტირების პროცესის ხელშეწყობასა და სტუდენტური ინიციატივების აქტიურ მხარდაჭერას სამართლიანობის, ობიექტურობისა და გამჭირვალობის პრინციპების საფუძველზე.

მუხლი 2. პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტირება

2.1. დაწესებულება ახორციელებს პროფესიული სტუდენტების აქტიურ მხარდაჭერას ყველა, განსაკუთრებით კი სწავლების საწყის ეტაპზე და ასევე ნებისმიერ ეტაპზე, როცა მათი სასწავლო გარემო იცვლება:
2.1.1. ახალი პროფესიული სტუდენტის სასწავლო გარემოსთან ადაპტირების პროცესს ორგანიზებას უწევენ დაწესებულების პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი და სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, კერძოდ, მიღებულ პროფესიულ სტუდენტთა ყველა ნაკადის პირველივე სასწავლო კვირას ისინი გეგმავენ და უზრუნველყოფენ მათთან გაცნობით შეხვედრას, რომლშიც მონაწილეობენ კოლეჯის ადმინისტრაციის თანამშრომლები, პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები და პროფესიული განათლების მასწავლებლები. პირველ დღეს შეხვედრას ხსნის კოლეჯის დირექტორი, რომელიც ახორციელებს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას დაწესებულების მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპების შესახებ. შეხვედრა სრულდება დაწესებულების შენობაში ექსკურსიის მოწყობით. ამის შემდეგ, შეხვედრაში მონაწილე დაწესებულების სხვა თანამშრომლები, მთელი კვირის მანძილზე ეტაპობრივად, აცნობენ დაწესებულების სერვისებისა და ზოგადად არსებული შესაძლებლობების, პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და ვალდებულებების, სასწავლო პროცესის თავისებურებების, ქცევისა და ეთიკის ნორმების, უსაფრთხოებისა და სხვა წესების შესახებ.

მუხლი 3. მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1. პროფესიული სტუდენტი შეფასებების ეტაპზე დაწესებულებისგან მუდმივად იღებს სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას სწავლის მიღწევების გასაუმჯობესებლად. აღნიშნულის განსახორციელებლად დაწესებულება იყენებს შემდეგ მექანიზმებს:

3.1.1. პროფესიული განათლების მასწავლებლები და ინკლუზიური განათლების სპეციალისტი ეტაპობრივად, საჭიროების მიხედვით, ორგანიზებას უწევენ ინდივიდუალურ საკონსულტაციო შეხვედრებს იმ პროფესიულ სტუდენტებთან, რომლებსაც სწავლის მიღწევების თვალსაზრისით გარკვეული სირთულეები აქვთ, რის ფარგლებშიც, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტის ჩართულობით, ხდება პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების განხილვა, მისი ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებების იდენტიფიცირება, სწავლის პროცესში არსებული ბარიერების შეფასება და სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი მხარდამჭერი და ადაპტირებული ღონისძიებების დაგეგმვა.

3.1.2. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, პერიოდულად, ორგანიზებას უწევენ პროფესიულ სტუდენტებთან ჯგუფურ შეხვედრებს, რომელთა ფარგლებშიც იკვეთება პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებები და აღნიშნულის მიხედვით იგეგმება სხვადასხვა არაფორმალურ აქტივობათა განხორციელება.

3.1.3. პროფესიული სტუდენტის/სტუდენტების საინიციატივო ჯგუფის მიერ მომართვის შემთხვევაში, მომართვიდან ორი დღის ვადაში დირექტორის მოადგილე, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი გეგმავენ შეხვედრას აღნიშნულ პროფესიულ სტუდენტთან/სტუდენტების საინიციატივო ჯგუფთან, რომლის ფარგლებშიც განიხილავენ მის/მათ საჭიროებებს, უწევენ კონსულტაციებს და შესაბამისად რეაგირებენ.

3.1.4. პროფესიული სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერა (სერტიფიკატის თუ დიპლომის გაცემა, შიდა თუ გარე მობილობის ხელშეწყობა, წინარე განათლების აღიარება, სააპელაციო საჩივრის განხილვა და სხვა.) ხორციელდება პროფესიული სტუდენტის მომართვიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, ხოლო ცნობის გაცემა -მომართვიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში.

შენიშვნა: პროფესიული სტუდენტისათვის (არასრულწლოვანის პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მშობლის/მეურვის თანდასწრებით) სწავლის შედეგების გაცნობა და ინდივიდუალური კონსულტაცია წარმოებს კონფიდენციალურად. აღნიშნული მოთხოვნის დარღვევა მიიჩნევა გადაცდომად.

მუხლი 4. სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი

4.1. დაწესებულებაში მოქმედებს არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და

პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები, რომელთა მიზანია საკვანძო კომპეტენციების ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის მიღმა, ალტერნატიული გზებით გამომუშავება და სამოქალაქო თვითშეგნების/განათლების განვითარების ხელშეწყობა.

4.2. დაწესებულების ბიუჯეტის შედგენისას ხდება სტუდენტური ინიციატივების (მათ შორის, სპორტული/შემოქმედებითი) მხარდაჭერის გათვალისწინება, რომლის ფარგლებში დაწესებულება აფინანსებს საუკეთესო ინიციატივებს.

4.3. წინამდებარე მუხლის 4.2. პუნქტით გათვალისწინებული პროცედურა იწყება პროფესიული სტუდენტის ან პროფესიულ სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფის მიერ ინიცირებით (საპროექტო განაცხადის მიღება წარმოებს მთელი წლის განმავლობაში), კერძოდ, ინიციატივა საპროექტო განაცხადის სახით წარედგინება დაწესებულების დირექტორს. საპროექტო განაცხადი უნდა მოიცავდეს შესაბამის დასაბუთებასა და პროექტის ბიუჯეტს.

4.4. საპროექტო განაცხადის განხილვის ეტაპზე უპირატესობა მიენიჭება ისეთ საპროექტო განაცხადს, რომელიც ხელს შეუწყობს:

4.4.1. პროფესიულ სტუდენტთა აკადემიურ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ განვითარებას;

4.4.2. პროფესიულ სტუდენტებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას;

4.4.3. პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობას სამოქალაქო აქტივობებში;

4.4.4. პროფესიულ სტუდენტებში ორგანიზაციული უნარების ჩამოყალიბებას;

4.4.5. მისცემს პროფესიულ სტუდენტებს თვითრეალიზაციის საშუალებას;

4.4.6. ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების და კოლეჯის პოპულარიზაციას.

4.5. საპროექტო განაცხადს განიხილავს დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი დროებითი კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს თავად დაწესებულების დირექტორი.

4.6. იმ შემთხვევაში თუკი საპროექტო განაცხადი წარმატებით გაივლის განხილვის ეტაპს, დაწესებულება დაუკავშირებდა აღნიშნული განაცხადის ავტორს და გააცნობს მას შემდგომ საორგანიზაციო საკითხებს. საპროექტო განაცხადის დაუკმაყოფილებლობისშემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღებიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში, კომისია წერილობით წარუდგენს განაცხადის ავტორს არგუმენტირებულ უარს.

4.7. დაფინანსებული პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს დაწესებულება, კერძოდ, პროექტის განხორციელებაში აქტიურად ჩაერთვება დაწესებულების პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, რაც შეეხება პროექტის ფინანსურ ნაწილს, აღნიშნული მიმართულებით ადამინისტრაციულ მხარდაჭერაზე პასუხისმგებელი იქნება დაწესებულების ფინანსური მენეჯერი.

4.8. დაფინანსებული პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების წინასწარ დაანონსებას უზრუნველყოფს დაწესებულების საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი დაწესებულების სოციალური გვერდისა და ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით.

4.9. გარდა ამ მუხლის 4.2. პუნქტით გათვალისწინებული სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერისა, დაწესებულება საკუთარი ინიციატივითაც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა არაფორმალურ აქტივობათა დაგეგმვა-განხორციელებას, რომლის ფარგლებში

დაწესებულების პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი პროფესიულ სტუდენტებთან შეხვედრების ფარგლებში გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით ორგანიზებას უწევს და ახორციელებს სხვადასხვა ექსტრაკულიკულურ აქტივობებსა და ღონისძიებებს.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

5.1. წინამდებარე მექანიზმებს ამტკიცებს დაწესებულების დირექტორი ბრძანებით.
5.2. წინამდებარე მექანიზმები უქმდება, მასში ცვლილებები ან/და დამატებები შედის დირექტორის ბრძანებით.
5.3. წინამდებარე მექანიზმები უნდა განთავსდეს დაწესებულების შენობაში საჯაროდ, თვალსაჩინო ადგილზე.

სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი'' პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი'' პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები (შემდგომში - მექანიზმები) შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების, მოქმედი კანონმდებლობის, განათლების სფეროს ექსპერტთა რეკომენდაციებისა და დაწესებულების წესდების საფუძველზე.
1.2. წინამდებარე დოკუმენტის მიზანია პროფესიულ სტუდენტთა დასაქმების უზრუნველყოფა მათი კარიერული მხარდაჭერის ერთიანი მექანიზმის შემუშავების გზით.

მუხლი 2. არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტების კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებები

2.1. დაწესებულება რეგულარულად ატარებს შეხვედრებს სკოლებში, ორგანიზაციების ბენეფიციარებსა და სამუშაოს მაძიებლებთან, რაც ხელს უწყობს დაინტერესებული პირების

დეტალურ ინფორმირებას დაწესებულებისა და მისი პარტნიორი დამსაქმებლების მიერ შემოთავაზებული სწავლებისა და დასაქმების პირობების შესახებ. აგრეთვე, აღნიშნულ ღონისძიებათა მეშვეობით ვრცელდება დაწესებულების მიერ განხორციელებადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და შესაბამის პროფესიათა შესახებ დამატებითი ინფორმაცია.

2.2. პროფესიულ სტუდენტთა მიერ კარიერული ნაბიჯების წარმატებით გადადგმის ხელშეწყობის მიზნით დაწესებულების პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი მათ რეგულარულად აწვდის ინფორმაციას, რაც ხორციელდება როგორც დაწესებულების მხრიდან პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებათა შესწავლისსაფუძველზე, აგრეთვე, პროფესიული სტუდენტის/მსმენელის/კურსდამთავრებულის მიერ მომართვის შემთხვევაშიც.

2.3. ინფორმირება გულისხმობს პროფესიული სტუდენტისათვის/ მსმენელისათვის/ კურსდამთავრებულისთვის დასაქმების გზაზე გასავლელი ეტაპების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებას.

მუხლი 3. პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან კომუნიკაცია

3.1. პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს რეგულარულად მიეწოდებათ ინფორმაცია დაწესებულების პარტნიორი კომპანიებისა და აღნიშნულ კომპანიათა მიერ შემოთავაზებული დასაქმების შესაძლებლობების შესახებ.

3.2. წინამდებარე მუხლის 3.1. პუნქტით გათვალისწინებულ პროცესს კოორდინაციას უწევს დაწესებულების პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, რომელიც აღნიშნულის უზრუნველსაყოფად ქმნის და აწარმოებს დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა ბაზებს, რომელშიც ასახულია კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ ინფორმაცია.

3.3. პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება შესაბამისი ვაკანსიების შესახებ ხდება ჯგუფური შეხვედრებისას ან სოციალური ქსელების/ელექრონული ფოსტის მეშვეობით. კურსდამთავრებულთა ინფორმირება კი ხორციელდება ინდივიდუალურად სატელეფონო კომუნიკაციის მეშვეობით.

3.4. პროფესიულ სტუდენტთა მიერ სწავლის დასრულებიდან 12 თვეში ჩატარდება კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა, კითხვარი შემუშავებულია პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ. აღნიშნული გამოკითხვის შედეგად ხორციელდება შემდეგ საკითხთა მოკვლევა:

3.4.1. დასაქმდა თუ არა კურსდამთავრებული;

3.4.2. დასაქმდა თუ არა იმ სპეციალობით, რომელიც დაამთავრა;

3.4.3. კმაყოფილია თუ არა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნით და უნარებით;

3.4.4. იყენებს თუ არა მათ სამუშაო პროცესში და ა.შ

3.5. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი ამ მუხლის 3.4. პუნქტით გათვალისწინებული კვლევის მეშვეობით მიღებულ მონაცემებს ამუშავებს და აძლევს

ანგარიშის სახეს, რის შემდეგაც ხორციელდება დაწესებულების შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ინფორმირება შესაბამის რეკომენდაციათა შემუშავების მიზნით.
3.6. დაწესებულება მუდმივ კომუნიკაციაშია დამსაქმებელთან, შესაბამისად, გარდა კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევისა, დაწესებულებაში ხორციელდება დამსაქმებელთა გამოკითხვა, სამუშაო ძალაზე დამსაქმებელთა მოთხოვნის შესასწავლად, რომლის მიზანია, განსაზღვროს თუ რამდენად შეესაბამება პროფესიული სტუდენტის მიერ გამომუშავებული პროფესიული უნარები დასაქმების სფეროს, საჭიროებენ თუ არა პროფესიული სტუდენტები დამატებითი პრაქტიკის გავლას, რამდენად შესაბამისობაშია კურსდამთავრებულთა კომპეტენცია დამსაქმებელთა შესაბამისი პოზიციების მოთხოვნებთან, რომელი პროფესიის თანამშრომლებია მეტად მოთხოვნადი შემდეგი რამოდენიმე წლის განმავლობაში და სხვა.

მუხლი 4. დასკვნით დებულებები

4.1. წინამდებარე მექანიზმებს ამტკიცებს დაწესებულების დირექტორი ბრძანებით.
4.2. წინამდებარე მექანიზმები უქმდება, მასში ცვლილებები ან/და დამატებები შედის დირექტორის ბრძანებით.

სტუდენტური ეთიკის კოდექსი

შესავალი

სსიპ კოლეჯი ,,ფაზისი'' იღებს ვალდებულებას დაიცვას საქართველოს კონსტიტუციით, კანონმდებლობით, კოლეჯის ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ადამიანის უფლებები და ყოფით ცხოვრებაში, ტრადიციულად დამკვიდრებული ადამიანის პატივი და ღირსება.
სტუდენტები/მსმენელები იღებენ ვალდებულებას დაიცვან საქართველოს კანონმდებლობა, და ადამიანთა ურთიერთპატივისცემის წესები. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიმართ განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის, კოლეჯის წესდებით, შინაგანაწესით და ამ წესების შესაბამისად განსაზღვრული ღონისძიებები.
კოლეჯი ,,ფაზისი'' წარმოადგენს დიდი საგანმანათლებლო ისტორიის მქონე კერას. მისი საქმიანობა ეფუძნება ჰუმანურობის, ტოლერანტობის, თანასწორობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებს და სათანადოდ აფასებს ინტერპერსონალური დამოკიდებულების მნიშვნელობას, მიუხედავად მათი ეთნიკური, გენდერული, სოციალური, პოლიტიკური და რელიგიური კუთვნილების მიუხედავად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვთანხმდებით შემდეგ ეთიკურ წესებსა და ნორმებზე:

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. კოლეჯის ,,ფაზისი'' სტუდენტური ეთიკის კოდექსი (შემდგომში - „სტუდენტური ეთიკის კოდექსი“) შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“, კოლეჯის ,,ფაზისი'' წესდების, შინაგანაწესის დებულების და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად.
2. ეთიკის კოდექსით განისაზღვრება კოლეჯის სტუდენტების/მსმენელების ქცევის სავალდებულო ნორმები, მოცემული ნორმების დარღვევის გამო გადაცდომის პირობები, ფარგლები და დისციპლინური წარმოების პროცედურები.

მუხლი 2. ეთიკის კოდექსის მიზნები და ამოცანები

1. წინამდებარე ეთიკის კოდექსი:
ა) აღწერს კოლეჯის ეთიკურ პრინციპებსა და სტანდარტებს;
ბ) კოლეჯში დამკვიდრებული ღირებულებების, მოქმედი ეროვნული კანონმდებლობისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად ადგენს კოლეჯის სტუდენტების/მსმენელების ქცევის სტანდარტებს და წესებს, ეთიკის ნორმებსდა სასწავლებლის ღირებულებებს;
გ) ქმნის სასწავლებელში ეთიკურ ღირებულებებზე დაფუძნებულ ურთიერთობების სისტემას.
2. ამ კოდექსის მიზანია ჩამოაყალიბოს და დაამკვიდროს პრინციპები, რომლის მიხედვითაც უნდა იმოქმედონ კოლეჯის სტუდენტებმა/მსმენელებმა.
3. ეთიკის კოდექსი არ მოიცავს ყველა შესაძლო ეთიკურ პრობლემას. მისი მიზანია, სტუდენტებ/მსმენელებს მიაწოდოს ის სახელმძღვანელო პრინციპები, რომელთა მეშვეობითაც ისინი შეძლებენ იმოქმედონ ეთიკური სტანდარტებისა და წესების შესაბამისად;
4. ეთიკის კოდექსის ამოცანებია:
ა) პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი პროფესიული განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და მომზადება/გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება;
ბ) კოლეგიალური და ლოიალური გარემოს ფორმირება და დამკვიდრება;
გ) სტუდენტებს, მსმენელებს და კოლეჯში მყოფ პირებს შორის კომუნიკაციური ბარიერების დაძლევა;
დ) პიროვნული პოტენციალის რეალიზება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე პროფესიული განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის პროფესიული განათლების შეთავაზება დაინტერესებული პირებისათვის;

ე) ურთიერთპატივისცემის წახალისება;
ვ) პასუხისმგებლობის ამაღლება;
ზ) სახელმწიფოს განვითარებისა და საკუთრივ პროფესიული განათლების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ახალი პროფესიონალი კადრების მომზადება.

მუხლი 3. ეთიკის სტანდარტები, ღირებულებები და ნორმები

1. ეს კოდექსი ადგენს კოლეჯის პროფესიული სტუდენტების/მსმენელების ეთიკის საერთო წესებს, რომელთა დაცვა სავალდებულოა თითოეული მათგანისათვის.
2. ეთიკის საერთო წესების დარღვევად მიიჩნევა კოლეჯის ტერიტორიაზე განხორციელებული შემდეგი ქმედებები:
ა) სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელის ნებისმიერი სახით შეშლა;
ბ) თეორიული ან პრაქტიკული მეცადინეობების მიმდინარეობისას არასაპატიო მიზეზით აუდიტორიის თვითნებურად დატოვება;
გ) თამბაქოს მოწევა შენობაში ან კოლეჯის ტერიტორიაზე;
დ)ალკოჰოლური სასმელების შეტანა, გავრცელება ან/და მოხმარება, გარდა ადმინისატრციის მიერ ნებადართული შემთხვევებისა;
ე) აზარტული თამაშების ორგანიზება ან მათში მონაწილეობის მიღება და ყველა სახის თამაშებისთვის კოლეჯში არსებული კომპიუტერების გამოყენება;
ვ) ქონების არა დანიშნულებისამებრ გამოყენება და დაზიანება;
ზ) ტერიტორიის დანაგვიანება;
თ) ბილწსიტყვაობა;
ი) შეურაცხყოფის მიყენება სხვა პირისათვის (ნებისმიერი სახის);
კ) კოლეჯის ტერიტორიაზე და მის პერიმეტრზე ისეთი ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა და ნივთიერებების შეტანა, გამოყენება, გავრცელება ან სხვისთვის გადაცემა, რომლებიც ხანძრის ან/და აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნის;
ლ) ფსიქოლოგიური, ზნეობრივი და სხვა ნებისმიერი სახის დისკომფორტის გამომწვევი ქმედება;
მ) ნებისმიერი პირის დისკრიმინაცია (დისკრიმინაციად ითვლება პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით);
ნ) სხვა პირის საკუთრების ხელყოფა, დაზიანება ან განადგურება; ასევე, სხვა სტუდენტის/მსმენელის საკუთრების უფლების რაიმე სახით შეზღუდვა, მათ შორის, ნივთის დაუფლება და ფაქტობრივი ფლობა მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ, ნივთის მოტყუებით გამორთმევა ან გამოძალვა, ან ნივთის ბედის სხვაგვარი გადაწყვეტა, ასევე ზემოაღნიშნულ ქმედებებების ჩადენის მცდელობა, მათ შორის, მოტყუებით ან მუქარით;
ო) ჰიგიენისა და სანიტარული წესების დარღვევა.

მუხლი 4. სტუდენტთა/მსმენელთა ქცევის ეთიკის ნორმები ეთიკის კოდექსი

1. წინამდებარე კოდექსის მოთხოვნები ვრცელდება კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებსა და პროფესიული მომზადება/გადამზადების მსმენელებზე.

მუხლი 5. სტუდენტის ქცევის ეთიკის პრინციპები

1. კოლეჯის ყველა სტუდენტზე/მსმენელზე თანაბრად ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობა, კოლეჯის წესდება, კოლეჯის მარეგულირებელი აქტები და თანაბარად ხელმისაწვდომია სასწავლებლის ადამიანური და მატერიალური რესურსები.
2. სტუდენტი/მსმენელი სრულად უნდა იზიარებდეს კოლეჯის წესდების, შინაგანაწესის, „გამოცდების ჩატარებისა და შეფასების პროცედურის“, „დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულებისა და სტუდენტის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ დებულებებს, ღირებულებებსა და პრინციპებს. კეთილსინდისიერად და განუხრელად იცავს მათ.

მუხლი 6. სტუდენტის/მსმენელის ეთიკური ვალდებულებები

1. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი პატივს სცემს საკუთარი და სხვა ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ღირსებას, განსხვავებულ აზრს, ასევე მათ პირად ქონებრივ და არაქონებრივ ინტერესებსა და უფლებებს.
2. აკრძალულია სხვა პირის დისკრიმინაცია ან მისდამი არატოლერანტული დამოკიდებულება ნებისმიერი განსხვავებულობის გამო - რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, რწმენის, მსოფლმხედველობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, პოლიტიკური გაერთიანების წევრობის, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, კულტურული კუთვნილების, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ოჯახური, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ცხოვრების წესის, დაბადების ადგილის ან ნებისმიერი სხვა ნიშნის საფუძველზე.
3. სტუდენტი/მსმენელი პატივს სცემს კოლეჯის სახელს, იმიჯს და საქმიან რეპუტაციას, ასევე, უფრთხილდება კოლეჯის ქონებას.
4. სტუდენტი/მსმენელი პატივს სცემს სხვა სტუდენტების სწავლის უფლებას და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.

მუხლი 7. აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული ეთიკის წესები

1. სტუდენტის/მსმენელის მიერ ეთიკის კოდექსის დარღვევად ჩაითვლება:

ა) აკადემიური თაღლითობა (გადაწერა სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან, ან ნებისმიერი სახის წინასწარ მომზადებული დამხმარე მასალის, სხვადასხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენება, რომელიც არ არის ნებადართული, როგორც კოლეჯის ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ);
ბ) პლაგიატი (სრულად ან ნაწილობრივ სხვისი ნამუშევრის გადაწერა ავტორისა და წყაროს მითითების გარეშე; სხვა პირის წერილობითი აკადემიური ნაშრომის ან მისი ნაწილის საკუთრად გასაღება);
გ) სხვა სტუდენტისთვის/მსმენელისთვის ხელის შეშლა სწავლასა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით, მოპარვით ან განადგურებით;
დ)სხვა სტუდენტის/მსმენელის ნამუშევრის მოპარვა, განადგურება, შეცვლა;
ე) სხვა სტუდენტისათვის/მსმენელისთვის თაღლითობის ჩადენაში ხელის შეწყობა;
ზ) ინდივიდუალური დავალების ჯგუფურად მომზადება ან ერთი პირის მიერ მომზადებული დავალების ჯგუფურ ნამუშევრად გასაღება;
ზ) იდენტობის გაყალბების საშუალებით, სხვა პირთან გარიგება სასურველი არაკუთვნილი, უკანონო შედეგის მიღების მიზნით;
თ) საგამოცდო მასალების მონიშვნა, გაყალბება მათ შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება, გავრცელება, ასევე ჩაბარებული წერილობითი ნამუშევრის უნებართვოდ ჩანაცვლება;
ი) აკადემიური მოსწრების მონაცემების გაყალბება ან/და გამოყენება;
კ) კოლეჯის პერსონალზე ზეწოლა შეფასების სასურველი არაკუთვნილი, უკანონო შედეგის მიღების მიზნით;
ლ) კოლეჯში წარსადგენი დოკუმენტის გაყალბება ან დოკუმენტების განზრახ არასრულად წარდგენა.
მ) სხვა ქმედებების განხორციელება, რომელიც ეწინააღმდეგება ეთიკის კოდექსის ზოგად წესებს და რომელსაც ვერ ჩამოთვლის წინამდებარე ეთიკის კოდექსი.

მუხლი 8. პასუხისმგებლობა ეთიკის საერთო წესების დარღვევისათვის

1. წიანმდებარე კოდექსით არაეთიკური ქმედების ჩადენის გამო, შინაგანაწესის საფუძველზე, სტუდენტს განესაზღვრება დისციპლინური პასუხისმგებლობა.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

1. პიროვნების პასუხისმგებლობა იზრდება ეთიკის კოდექსით დადგენილი ნორმების განმეორებითი დარღვევის ან დისციპლინური გადაცდომის ხარისხის პროპორციულად.
2. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდება ხდება დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულებით დადგენილი წესით. მიღებული გადაწყვეტილება დაინტერესებულ პირს წერილობით უნდა ეცნობოს. გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა იყოს დასაბუთებული.

3. სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტა ხდება წესდების, შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის და კანონი პროფესიული განათლების შესაბამისად. სტუდენტს უფლება აქვს დაესწროს თავისი საქმის განხილვას და ისარგებლოს კანონით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.
4. ეთიკის კოდექსი გამოყენებულ უნდა იქნეს კოლეჯის მიერ მიღებულ სხვა დოკუმენტებთან ერთად.

10. დებულებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანა

1. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება დირექტორის მიერ განსაზღვრული სამუშაო ჯგუფის მიერ.
2. ცვლილების ინიციატორი შეიძლება იყოს დირექტორი ან/და დირექტორის მიერ იურიდიულად განსაზღვრული პირი, სტუდენტური წარმომადგენელი.

სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“ პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა ექსკურსიების განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1. სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“ (შემდგომში - კოლეჯი) პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა ექსკურსიების განხორციელების წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა ექსკურსიების დაგეგმვის, განხორციელების, აგრეთვე პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა, მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და ექსკურსიის განხორცილებაში მონაწილე პირთა უფლებამოვალეობებს და პასუხისმგებლობებს.

1.2. ეს წესი ვრცელდება კოლეჯისა და პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა მიერ ორგანიზებულ ექსკურსიებზე.

1.3. წესში გამოყენებული ტერმინების მნიშვნელობა:

ა) ექსკურსია - შემეცნებითი-სასწავლო მიზნებისათვის განხორციელებული აქტივობა, რომელიც მოიცავს პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა ექსკურსიების დაგეგმვის, განხორციელების, აგრეთვე პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა, მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და ექსკურსიის განხორცილებაში მონაწილე პირთა ტრანსპორტით გადაადგილებას მათ მიერ განსაზღვრულ ლოკაციაზე, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

ბ) ექსკურსიის ორგანიზატორი - სრულწლოვანი პირი, რომელიც ორგანიზებას უწევს ექსკურსიას. ორგანიზატორი შეიძლება იყოს პროფესიული სტუდენტის უფლებამოსილი

წარმომადგენელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი ან კოლეჯში დასაქმებული სხვა პირი;

გ) ექსკურსიის ხელმძღვანელი - სრულწლოვანი პირი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს კონკრეტულ ექსკურსიაში და პასუხისმგებელია მგზავრობის პროცესში და ექსკურსიის ლოკაციაზე ექსკურსიაში მონაწილეთა უსაფრთხოებაზე. ექსკურსიის ხელმძღვანელი ამავდროულად შეიძლება იყოს ექსკურსიის ორგანიზატორი;

დ) პროფესიული სტუდენტი და მსმენელი - პირი, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ირიცხება კოლეჯში;

ე) პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა უფლებამოსილი წარმომადგენელი - მშობელი, მეურვე, ან კანონიერი წარმომადგენელი;

1.4 წესში გამოყენებულ სხვა ტერნმინებს აქვს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობა.

მუხლი 2. ექსკურსიის ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის მოვალეობები

2.1. ექსკურსიის ორგანიზატორი/ხელმძღვანელი პასუხისმგებელია მგზავრობის პროცესში და ექსკურსიის ლოკაციაზე ექსკურსიაში მონაწილეთა უსაფრთხოებაზე, რისთვისაც იგი გამოითხოვს და კოლეჯის დირექტორს/დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ექსკურსიამდე არანაკლებ 10 (ათი) დღით ადრე, წარუდგენს ტრანსპორტის გამართულობის დამადასტურებელ დოკუმენტს, ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და შესაბამისი კატეგორიის ავტომანქანის მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობის ასლს, ინფორმაციას ექსკურსიის მიზნების, დაგეგმილი აქტივობების, მონაწილე პირების (მათ შორის არასრულწლოვნების), პასუხისმგებელი პირების, ექსკურსიის თარიღისა და ლოკაციის შესახებ.

2.2. კოლეჯის დირექტორი/დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი განიხილავს წარდგენილ ინფორმაციას/დოკუმენტებს და იღებს გადაწყვეტილებას ექსკურსიის განხორციელების შესახებ, გონივრულ ვადაში.

2.3. ექსკურსიის ორგანიზატორი ვალდებულია სრულყოფილი ინფორმაცია მიაწოდოს ექსკურსიის მონაწილეებს, ექსკურსიის თარიღის, ლოკაციის, დადგენილ ღონისძიებათა მიზნების, აქტივობების და მონაწილე/პასუხისმგებელი პირების შესახებ.

2.4. არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შემთხვევაში, ექსკურსიის ორგანიზატორს უნდა ჰქონდეს არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობა ექსკურსიაში მისი მონაწილეობის შესახებ.

2.5. ექსკურსიაში მონაწილე სრულწლოვან პირთა შორის უნდა იყოს სულ მცირე ერთი ქმედუნარიანი პირი, რომელსაც აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უნარ-ჩვევები.

2.6. ექსკურსიის ხელმძღვანელს სრულყოფილად უნდა ჰქონდეს ექსკურსიაში მონაწილეთა მონაცემები, მათ შორის, ინფორმაცია მონაწილე პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სპეციალური საჭიროებების შესახებ.

მუხლი 3. ტრანსპორტირების წესი

3.1. ექსკურსიის დროს ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ იმ სატრანსპორტო საშუალებით, რომელსაც აქვს გავლილი ტექნიკური დათვალიერება, კანონმდებლობის შესაბამისად.
3.2. სატრანსპორტო საშუალებას უნდა მართავდეს შესაბამისი გამოცდილებისა და სათანადო კატეგორიის მართვის მოწმობის მქონე მძღოლი.
3.3. სატრანსპორტო საშუალებაში უნდა იყოს განთავსებული პირველადი სამედიცინო დახმარების ჩანთა.
3.4. ექსკურსიაში მონაწილეთა კვების მიზნით საკვები პროდუქტების ტრანსპორტირება უნდა ხორციელდებოდეს სანიტარული პირობების დაცვით.
3.5. შშმ და სსსმ პირთა ტრანსპორტირება უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი საჭიროებების გათვალისწინებით.

მუხლი 4. პასუხისმგებლობა

1.1. ამ წესით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“ არასრულწლოვანი პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა ექსკურსიის თანხმობის ფორმა

პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მონაცემები		
სახელი	გვარი	პირადი ნომერი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა/მომზადების/გადამზადების პროგრამა და ჯგუფის ნომერი

მისამართი

ტელეფონი

პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მშობლის/მეურვის მონაცემები		
სახელი	გვარი	პირადი ნომერი

მისამართი

ტელეფონი

თანახმა ვარ, ჩემმა შვილმა/მეურვეობის ქვეშ მყოფმა _____ მონაწილეობა მიიღოს სსიპ კოლეჯის ,,ფაზისი“ პროფესიული განათლების მასწავლებლის _____ მიერ ორგანიზებულ ექსკურსიაზე, შემდეგ ლოკაციაზე _____, 20-- წლის ___ _____- 20-- წლის ___ _____ ჩათვლით.

მშობლის/მეურვის სახელი და გვარი _____

ხელმოწერა _____

თარიღი _____

დანართი 1

სტუდენტზე ინფორმირებულობის ჟურნალი

(შინაგანაწესი, სტუდენტზე ორიენტირებული წესები)

2023 წელი

№	პროფესიული სტუდენტის გვარი, სახელი	თარიღი	სპეციალობა	ჯგუფის ნომერი	ხელმოწერა გაცნობაზე
1					
2					
3					
4					
5					
6					
7					
8					
9					
10					
11					
12					
13					
14					
15					
16					
17					
18					
19					
20					
21					
22					
23					
24					